აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 13

18 ოქტომბერი 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გია გარსევანიშვილი, ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, ავთანდილ ჩახვაძე, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე, ლევან გაბრიჩიძე, რამაზ ბოლქვაძე და დიმიტრი დარჩია.

აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლები, რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წარმატებით და დემოკრატიულად დასრულება, მადლობა გადაუხადა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს, გაწეული სამუშაოს შესრულებისთვის, რომელიც მათ გაწიეს საარჩევნო პერიოდში და სიტყვა გადასცა უსკოს მდივანს ქეთევან ჯიქიას გაეცნო კომისიის წევრებისათვის და დამსწრე საზოგადოებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები.

უსკოს მდივანმა, ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012

წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი და დეტალურად გააცნო უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დაფიქსირებული შედეგები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**